MES 0 23 0001765579

26/12/2023

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
**ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

**2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თეა ლილუაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ქეთი მუთიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლა**
ქეთევან ქსოვრელი - დირექტორი
**სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლა**
ვლადიმერ შენგელია - დირექტორი
**სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლა**
თენგიზ მეხეშიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
**სსიპ - ქქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა**
ნანა ლაბაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
**სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა**
მაია მღვდელაძე - დირექტორი
**სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა**
ია თოდუა - დირექტორი
**სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა**
ნანა ბოჭორიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
**სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლა**
იოსებ ლაზარაშვილი - დირექტორი
**სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა**
ლეილა ჩიტაური - დირექტორი
**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა**
ნარგიზ რომანაძე - დირექტორი
**შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომი**
ბაკურ სულაკაური - დირექტორი

**4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):**

**სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლა**
მაკა ტუკვაძე-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამთა კამკამიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დავით ბოლქვაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
გვანცა მოლაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბერიშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მაკა აფრიამაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ელისო ვადაქარია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ცირეკიძე- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლა**
ნანა სარალიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი
წევრები:
თამარ კობახიძე - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი
ნონა ლაგვილავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მამუკა ხაჩიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მარიამ მატიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნანა კუნჭულია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარი კვანტიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანი სალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საგეხურის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლა**
ლია ჯალაღონია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
სოფიო დუმბაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თალიკო ჯაყელი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო მოლაშხია -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
იოსებ ლაზარაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაკა ყიფშიძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მარღიშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
შოთა მაღლაკელიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
სოფიო ჯგერენაია- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა**
გულნარა ხაბურზანია-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამარ ხარძიანი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მაია მერაბიშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლელა გაბისონია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ქათამაძე- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ირმა ბოლქვაძე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ჯულიეტა ტაბეშაძე- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ყანჩაშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ჩხიკვაძე- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვლადიმერ უშიკიშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

**სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა**
ნოდარ ანგურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მედეა მაქაცარია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მირანდა თურმანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭანტურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა**
ზაზა ჭანტურია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ფარნაოზ იორდანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
რომან გაბუნია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მინდია მაცაბერიძე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანჟელა აბულაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ხუცოშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ჩავლეიშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარ კვინიტაძე- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ახალაია- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ბენდელიანი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა**
გელა მაჭარაშვილი-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მაია ბაქრაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ფიქრია მუმლაძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო ხვადაგიანი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მარინა თავართქილაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მაყვალა გრძელიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამარი მურუსიძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მაკა აფრიამაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
მარიკა ბოცვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლა**
ლიანა კობესაშვილი -ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

სერგო დურგლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მაია ზერიანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეთერი ხოზუა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ელიზა ბაგალიშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

**სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა**
ნანა ედიშერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნათია ღოღობერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ირმა შველიძე- საგნობრივი ექსპერტი
თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჯახველაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ირმა ქაფიანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა**
ნანა ედიშერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნათია ღოღობერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარი ფალელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 15 დეკემბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
12. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
13. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა - თეა ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლას ჰქონდა შუამდგომლობა პირველ საკითხად განხილვასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ეთანხმებოდნენ თუ არა წარმოდგენილ შუამდგომლობას.

**აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**
1. სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
12. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
13. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა.

1. **სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, ვინაიდან მოცემული სკოლა მდებარეობდა ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, შალვა ღამბაშიძის N3გ-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ლიანა კობესაშვილის თქმით, 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო მე-3 სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო,

როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან, კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), შეფასდა შეუსაბამოდ, ხოლო 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) მეტწილ შესაბამისად.
სტანდარტის 3.4 კომპონენტის შეუსაბამოდ შეფასება განაპირობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27/09/2023 წლის დასკვნამ, რომლის მიხედვითაც სკოლის სასწავლო კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში შეფასებული იყო, როგორც არადამაკმაყოფილებელი რაც გამოიწვია ეზოს მხრიდან მარცხენა ფლიგელის ავარიულმა მდგომარეობამ, რომელიც არ ექვემდებარებოდა ექსპლუატაციას. შემფასებელს მიზანშეწონილად მიაჩნდა, აღნიშნული მონაკვეთის დემონტაჟი და ახალი კორპუსის აშენება შემუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა სეისმურ ნორმებთან. სასწავლო კორპუსის დანარჩენი ნაწილის ექსპლუატაცია შესაძლებლი იქნებოდა შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით. მიშენებული ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობა, მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა დამაკმაყოფილებელი და ექსპლუატაციისათვის ვარგისი იყო.
ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა დაეზუსტებინა, რა დატვირთვის იყო ფართი, რომელსაც სკოლა პროფესიული განვითარებისთვის იყენებდა, ასევე სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰყავდა თუ არა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელსაც სჭირდებოდა ადაპტირებული გარემო.
ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება და ახორციელებდა პროფესიული სწავლების მთელ რიგკომპონენტებს, ზემოაღნიშნული სივრცე კი გამოყოფილი იყო პროფესიული სასწავლებლების მასპინძლობისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის. ექსპერტმა დასძინა, რომ მისი ინფორმაციით, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე სკოლას არ ჰყოლია.
დაწესებულების დირექტორმა, იოსებ ლაზარაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 1 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც შინ სწავლების პროგრამით სარგებლობდა, ხოლო ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობისთვის დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 2

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებაში არ არსებობდა უსაფრთხოების გარანტიები საბჭოს ორი წევრი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლას ასევე მისცა რჩევა, ვიდრე არ მოხდებოდა

სკოლის უსაფრთხოების სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა, მიზანშეწონილი იქნებოდა, მოსწავლეების სხვა სკოლაში გადაყვანა.

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლას (ს/კ: 203851386) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, შალვა ღამბაშიძის N3გ |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, შალვა ღამბაშიძის N3გ |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, შალვა ღამბაშიძის N3გ |

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, ადაპტირებული გარემოსა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

**2. სსიპ - ქალაქ თბილისის 171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, ვინაიდან ჩართული იყო სკოლის მხარდაჭერის პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-3 პლატოს მე-2 კვარტალში,ბოწენიძის ქ.N 3-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა „ბავშვთა სოფლის" აღსაზრდელების ადაპტაციის პროცესს, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებლები და ადმინისტრაცია.

მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილად.

მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა ეტაპზე იყო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესი.

სკოლის დირექტორმა, ქეთევან ქსოვრელმა, განმარტა, რომ შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით გადადგმული იყო ნაბიჯები, კერძოდ, დაწესებულებაში იყვნენ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომლები და სკოლა ელოდებოდა დასკვნას, სხვა რეკომენდაციებზე მუშაობა კი სკოლას დაწყებული ჰქონდა.

საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა , სკოლის ხედვასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულების ხედვის დოკუმენტის ჩანაწერში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, თამარ მამსიკაშვილის კითხვა შეეხებოდა დაწესებულების საშტატო ერთეულს, კერძოდ, ჰყავდა თუ არა სკოლას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისთვის დამხმარე პერსონალი, გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

ქეთევან ქსოვრელმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე, რომელიც არ იყო ეტლით მოსარგებლე. რაც შეეხებოდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, მას ჰყავდა დამხმარე, კერძოდ მეეზოვე. მან ასევე დასძინა, რომ

მოიჯარეებთან სკოლას ჰქონდა 1 და 2 წლიანი კონტრაქტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლას (ს/კ: 204889219) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, მოწენიძის ქ.N 3 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, მოწენიძის ქ.N 3 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, მოწენიძის ქ.N 3 |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, ადაპტირებული გარემოსა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

**3.სსიპ -წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა სარალიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლას ჰქონდა სამი შენობა, რომელიც მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემში, ასევე ნანჯარუსა და ლეჟას უბანში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და განმარტა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააზრებული ჰქონდათ სკოლის კულტურა, სპეციფიკა და თემში არსებული საჭიროებები.
ექსპერტმა, ნანა სარალიძემ აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა ნაწილობრივად, ვინაიდან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა), 3.2 (პერსონალის განვითარება); 3.3 (პროცესების მართვა); 3.4

(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება); 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ასევე მეტწილად შეფასდა 4.2 კომპონენტი (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები), 2.2 კომპონენტი (კურიკულუმის განხორციელება) სამივე საფეხურის პროგრამისთვის.
ნანა სარალიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, სკოლის მიერ გადმოგზავნილი კურიკულუმების გარდა, სხვა რაიმე დამატებითი დოკუმენტიც ხომ არ ჰქონდა სკოლას წარმოდგენილი და გაიცა თუ არა რჩევები ამ მიმართულებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, მამუკა ხაჩიძემ, განმარტა, რომ გასაუბრების დროს, სკოლამ წარმოადგინა დამაზუსტებელი დოკუმენტაცია. რაც შეეხებოდა კურიკულუმებს, მხოლოდ ერთი დოკუმენტი იყო წარმოდგენილი. რჩევები კი გაცემული იყო კურიკულუმების ჩარჩოს დახვეწასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე-12
წინააღმდეგი -0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 242735974) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | დაწყებითი | ქართული | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ნაკიფუს თემი, ნანჯარუს უბანი, ლეჟას უბანი. |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ნაკიფუს თემი, ნანჯარუს უბანი, ლეჟას უბანი. |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ნაკიფუს თემი. |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები** - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

16:45 საათზე საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დატოვა სხდომა.

**4. სსიპ -ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს. სკოლას ჰქონდა სამი სასწავლო კორპუსი, რომელიც მდებარეობდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო და ქვემო ქედლებში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა

ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ლია ჯალაღონიამ განმარტა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილად, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტქურტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ლია ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე-11
წინააღმდეგი -0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლას (ს/კ: 242735974) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები, ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედლები ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედლები |
| 2 | | საბაზო | ქართული | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, ადაპტირებული გარემოსა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა, ასევე სკოლას უნდა უზრუნველეყო ვებგვერდის შექმნა.

**5. სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3ის მე-2 მიკრო რაიონში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1600 მოსწავლე. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 1423 მოსწავლე, მათ შორის 34 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
ექსპერტის თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო კომპონენტები - 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, რა რჩევები იყო გაცემული შეფასებასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირმა ბოლქვაძემ, აღნიშნა, რომ შეფასებასთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა გარკვეული ხარვეზები, როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი გამართული შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთებოდა მიმართებები სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან. ასევე გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში კავშირის დანახვის საკითხი. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ, განაცხადა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერ დასახელებული ხარვეზები მათემატიკის მიმართულებით არ იკვეთებოდა. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რა ინტერვენციები იგეგმებოდა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანა ლაბაძემ ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით გამოკვეთილ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა მოტივირებული და კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული პროცესებში და ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტებს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილის განცხადებით, წარმოდგენილი მასალებით იკვეთებოდა, რომ სკოლას ჰქონდა მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი, რომლის თანახმადაც ქმნიდა მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას. მან სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰყავდა თუ არა სკოლას აღნიშნული კომისია. ნანა ლაბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა შექმნილი კომისია, თუმცა გარკვეული სამუშაოების განხორციელების შემდეგ, სკოლას შეტანილი ჰქონდა გარკვეული ცვლილებები ხსენებულ დოკუმენტში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლას (ს/კ : 206031916) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მიკრო რაიონი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მიკრო რაიონი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მიკრო რაიონი |

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობის მდგრადობის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტის, ქიმიის ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟებისა და ადაპტირებული გარემოს ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

15:50 საათზე საბჭოს სხდომას კვლავ შემოუერთდა საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი.

### 6. სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. N64-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1800 მოსწავლე.

მისი თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. დაწყებით საფეხურზე სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე კომპონენტი 2.2 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

მისი თქმით, სკოლის ფოიეში განთავსებული იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი წიგნი, რომელიც მოგვითხრობდა 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებზე. დაწესებულებაში ასევე მოქმედებდა ინკლუზიური განათლების კათედრა და მთლიანობაში ირიცხებოდა 44 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა მხარდაჭერის მიზნით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტი და ღონისძიება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ციფრული ტელევიზია.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თეა მათითაიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეინიშნებოდა რიგიშეუსაბამობები, , მაგრამ ამ მიმართულებით, ვიზიტის დროს, მოხდა გარკვეული რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემა, რომელთა ნაწილის გათვალისწინება მოახერხეს მასწავლებლებმა. ექსპერტის განცხადებით, I-VI კლასებში მოცემული კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ხარვეზები მეტწილად გამოსწორებულ იქნა. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელი არ მიუწვდებოდა კომპლექსურ დავალებებზე და გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა სკოლამ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოახერხა.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გეოგრაფიის მიმართულებით გამოცხადებულ ვაკანსიაზე საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც 7 წევრიდან ესწრებოდა 2 და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც ხდებოდა ორი წევრის მიერ. საბჭოს ამავე წევრმა დასძინა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ამ შემთხვევაში, სხდომას უნდა დასწრებოდა 3 ადამიანი მაინც და სკოლას მიმართა თხოვნით აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მაია მღვდელაძემ, აღნიშნა, რომ მოცემულ დოკუმენტზე არ ფიქსირდებოდა იმ წევრების ხელმოწერები, რომლებიც შეხვედრაზე იყვნენ დისტანციურად.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო თანხმობა დადასტურებული ყოფილიყო ხელმოწერით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლას (ს/კ : 208142776) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი**: 2025 წლის დეკემბრიდან
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა**: ადგილზე ვიზიტი
**მონიტორინგის ფარგლები**: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი)

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

**7. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხელედში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 80 მოსწავლე.
ექსპერტის თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.1, 1.2, 3.3, 3.4, 3.6 და 4.2 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ზაზა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი

იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა მოცემული დროისთვის სკოლაში. ექსპერტმა მიუგო, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 27 მოსწავლე, თუმცა მოცემულ ეტაპზე დაწესებულების ვებ- გვერდზე ფიქსირდებოდა 24 მოსწავლე. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობა როგორ იყო განაწილებული საფეხურების მიხედვით. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კლას- კომპლექტები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას განხილული ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები, რაზეც სკოლის დირექტორმა, ია თოდუამ, განაცხადა თანხმობა და დასძინა, რომ უახლოეს მომავალში გეგმავდნენ არსებული პრობლემების აღმოფხვრას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლას (ს/კ : 234067960) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | დაწყებითი | ქართული | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი |

საბჭომ 1.1, 1.2, 3.3, 3.4, 3.6 და 4.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: სკოლის მიერ შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის; ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების (შესაბამისი აქტივობებით) ამსახველი დოკუმენტის; ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმის, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის; შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსის მტკიცებულების; შენობაში განთავსებული საევაკუაციო გეგმების დამადასტურებელი დოკუმენტის, სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის ამსახველი მტკიცებულებების, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის, სკოლის ვებ- გვერდზე განთავსებული სრულყოფილი ინფორმაციის და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაზე დაფუძნებული მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

**8. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გელა მაჭარაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ტყიბულში, ბრეგვაძის ქ.N14-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის

თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120- მოსწავლისთვის.
გელა მაჭარაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასებები, კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მესამე სტანდარტი შეფასდა ასევე „შესაბამისად", თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომგარე სპორტული მოედანი იმ ეტაპისთვის არ ფუნქციონირებდა დატბორვის (წყალსაწრეტი სისტემის არარსებობის) გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილი კურიკულუმები იყო ფაქტობრივად ცარიელი. მან ექსპერტს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა ამ საკითხთან დაკავშირებით.
გელა მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია სკოლის დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი, თუმცა ვიზიტისას გამოიკვეთა პედაგოგთა მაღალი მზაობა, თანამშრომლობითი კულტურა და მიკუთვნებულობის განცდა. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ოთხი წლის განმავლობაში მუშაობა უწევდა რთულ პირობებში, კერძოდ, იქამდე სანამ რეაბილიტირდებოდა ამჟამინდელი შენობა, სკოლა საგაკვეთილო პროცესს ახორციელებდა ეგრეთწოდებული შახტების სამმართველოს შენობაში. აღნიშნულ პერიოდში სკოლამ გასწია დიდი ძალისხმევა, არ შემცირებულიყო მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფთან ერთად იმუშავა და ნაწილობრივ გამოასწორა კურიკულუმები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ფიქრია მუმლაძემ, დაადასტურა ზემოხსენებული და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები სკოლამ მიიღო და გაითვალისწინა. მისი თქმით, სკოლას ვიზიტისას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა დაწესებულებაში არსებობდა შესაბამისი აღჭურვილობა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა სკოლის შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტაციით და სთხოვა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო სკოლა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანა ბოჭორიშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტაცია, რომელიც თარიღდებოდა 11 დეკემბერით.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს განუცხადა, რომ მათ მიერ გამოცემულ ბრძანებაში ექთნის აყვანის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავდა ხარვეზებს და საჭიროებდა რედაქტირებას კანდიდატების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლას (ს/კ:219634705) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N 14 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N 14 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N 14 |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები**: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტი.

საბჭომ 3.4, 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობის/ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ დასკვნის მოპოვება ორივე სასწავლო კორპუსისათვის. ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) დასკვნის, ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა/ბრძანების, შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზების და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის წარმოდგენა.

**9.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გან ხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს . სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტ, სოფელ ქერეში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90-მოსწავლისთვის.
ნანა ედიშერაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასებები. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მესამე სტანდარტი და კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა კი, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლას (ს/კ:218049715) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები**: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.1, 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, სკოლამ უნდა განსაზღვროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციების გათვალისწინებით, დაამონტაჟოს შიდა სამეთვალყურეო კამერები და შეიმუშაოს, დაამტკიცოს და შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებებთან და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინოს ცენტრში.

**10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №47-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500- მოსწავლისთვის ორ ცვლაში.
ნანა ედიშერაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასებები. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და ისაუბრა საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი განცხადებით, დაწესებულებას საინტერესოდ ჰქონდა მოწყობილი შიდა სივრცეები, თუმცა ნალექის შედეგად დაზიანებული იყო სახურავი და შენობის უკანა ფასადი, რომლის რეაბილიტაციაც ხორციელდებოდა ვიზიტის პერიოდში.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომელშიც ფიქსირდებოდა საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დამაკმაყოფილებელი გარემოებები, რას განაპირობებდა მის ექსპლუატაციას, თუმცა სეისმურ ნორმებთან იყო შეუსაბამო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
სკოლის დირექტორმა, ნარგიზ რომანაძემ, საბჭოს წევრებს დამატებითი ინფორმაციის სახით განუცხადა, რომ სკოლა ექსპლუატაციაში შესული იყო 2014 წლიდან და ექსპერტთა შემოწმების შემდეგ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა ხარვეზი, რომლის გამოსწორებაზეც სკოლა აქტიურად მუშაობდა და 30 იანვრამდე დასრულდებოდა პროცესი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ლიფტის საკითხით, რაზეც სკოლის დირექტორმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ სკოლის მიმართვაზე, შესაბამისი ორგანოების რეაგირების შედეგად შენობაში ლიფტის დამონტაჟება იგეგმებოდა 2025 წლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ:246957761) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №47 |
| 3 | | საშუალო | ქართული | ქობულეთი, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | აღმაშენებლის ქ. №47 |

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, სკოლამ უნდა განახორციელოს შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისგან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება და სკოლის მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე, შშმ პირთა გადაადგილების მიზნით, ლიფტის დამონტაჟება. საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლამ ასევე უნდა მიმართოს შესაბამის უწყებებს და უზრუნველყოს შენობის სეისმურ ნორმებთან შესაბამისობა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-11-მე-13 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგანაც შეეხებოდა ერთი სკოლის პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხს.

**11. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პრო გრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
**12. შპს- მწვანეს კოლა - დიდი დიღომის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა მის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
**13. შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგ რამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნების პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 7 ნოემბერს. მისი განცხადებით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განაცხადები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების თაობაზე. ექსპერტის თქმით, შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღომი" ცალკე იურიდიულ პირად გამოეყო შპს „მწვანე სკოლა - საბურთალოს". შესაბამისად, მოხდა ფართის შემცირება და ნუცუბიძის მე-2 მ/რ-ში, ბესარიონ ჟღენტის ქ. N37-ში მდებარე კორპუსში შპს «მწვანე სკოლა დიდი დიღომი" აღარ გეგმავდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას 2023 წლის 18 ოქტომბრიდან. შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღომი" დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლებას განახორციელებდა მხოლოდ ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N12ა-ში მდებარე კამპუსში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰყავდა 1245 მოსწავლე.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინა ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დაენერგა და გამოეყენებინა საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში სკოლა მუშაობდა ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა -e-flow-ში, სატესტო რეჟიმში.
ლიანა კობესაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სკოლის შესაბამისობა მესამე სტანდარტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ ყველა კომპონენტში სკოლა შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს" გარდა 3.4 კომპონენტისა, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად. აღნიშნული კი განპირობებული იყო იმით, რომ სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობისა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დაწესებულებამ არგუმენტირებულპოზიციას ცენტრში წარმოდგენისას თან დაურთო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაითვალისწინა ადამიანური და ფინანსური რესურსები, აქტივობებში ჩართული მხარეები, აქტივობის განხორციელების რისკების ალბათობა და შენობის მდგრადობისა და შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვების ვადად განსაზღვრა 2024 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და განაცხადა, რომ აღნიშნული იყო საკმაოდ მოწესრიგებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა დაზუსტების მიზნით განმარტა, რომ დაწესებულებამ ექსპერტის მიერ სხდომაზე აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიმართა კომპეტენტურ ორგანოებს, მოხდა მათ მიერ შენობის შეფასება და სკოლა ელოდებოდა შესაბამის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა - დიდი დიღომის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" $25^2$ -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს- მწვანე სკოლა - დიდი დიღომის (ს/კ: 211357020) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საფეხური | პროგრამის განხორციელების ენა | (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ. N12ა |

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა - დიდი დიღომის მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის $25^2$ -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს მწვანე სკოლა - დიდი დიღომის (ს/კ: 211357020) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ. N12ა |

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა - დიდი დიღომის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს მწვანე სკოლა - დიდი დიღომის (ს/კ: 211357020) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ. N12ა |

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების ცენტრში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 20:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა